№ 87
პარასკევი, 26 აპრილი, 1902 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
,,ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1902

ივერია

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 87
პარასკევი, 26 აპრილი, 1902 წ.
რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე—5 კაპ.
,,ივერიის" ტელეფონი № 227.

1 მაისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
,,ივერია"

ღირს **შვიდ მანეთად** და ხუთ შაურად (7 მ. 25 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის" რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія". ტელეფონი № 227.

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართული თეატრი

კვირას, 28 აპრილს, 1902 წ.

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ვლ. ალ.-მესხიშვილის მონაწილეობით

✦ **დაკლებულის ფასებით** ✦

ურიელ-აკოსტა

ტრაგედია 5 მოქ. გუცკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი კარგარეთელი, სარიძე და სხვ. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე, რომანიშვილი და სხვ.

დასაწყისი 8½ საათზედ.

ფასები დაკლებულია.

რეჟისორი ვ. გუნია.

დამაარსებელნი **„უნივერსიტეტისა და სხვა მაღალ სასწავლებელთა სტუდენტების დამხმარებელ კავკასიის საზოგადოებისა"**, თანახმად საზოგადოების წესდების მე-7 და 38 პარაგრაფისა, მოიწვევენ იმათ ვინც გამოაცხადა სურვილი ამ საზოგადოების წევრობისა, აგრეთვე ყველას, ვინც თანაუგრძნობს საზოგადოების საგანს და ჰსურს მონაწილეობა მიიღოს მისს მოღვაწეობაში, —

მობრძანდნენ

საზოგადო კრებაზედ

საარტისტო საზოგადოების სადგომში, 27 აპრილს, საღამოს 8 საათზედ.

საგანი განხილვისა:

1. არჩევა საზოგადოების ცხრა წევრისა და ექვსის მათის კანდიდატისა, და
2. არჩევა სარევიზიო კომისიის ხუთის წევრისა და ორის მათის კანდიდატისა.

(3—უ.—2)

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე
სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. ტელეფონი № 642. (წ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ც. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.
საღამოობით:
კ. ი. გძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.
გ. ა. თარხანოვი. 7—7½ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილით:
ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.
მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე, ხუთშაბათს და შაბათს გარდა.
ე. გ. ფედოროვი—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.
ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.
ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.
კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.
ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
სტ. ა. ვოინო—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.
გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.
საღამოთი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ.
კვირაობით:
გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

ახალი ამბავი

✦ ხუთშაბათს, 25 აპრილს, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში შესდგა სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება. კრებას დაესწრო ორმოც-და-ათ კაცამდე და დაიწყო დილის 11½ საათზედ. კრების თავმჯდომარეთ იქმნა ერთხმად არჩეული ა. ი. სავანელი. მდივნად ნ. ჯორჯაძე. კრებამ მოისმინა 1901 წ. წლიური ანგარიში და ზოგიერთ რწმუნებულთა შენიშვნების შემდეგ ერთხმად დაამტკიცა კრებამ. კრებამ აგრეთვე დაამტკიცა 1902 წ. ხართ-აღრიცხვა. დანარჩენ საკითხების ანგარიში დაწვრილებით შემდეგ გვექნება. კრება დაიშალა სამ საათზედ და გადიდვა დღეისთვის, რომელიც დაიწყება 10 საათზედ.

✦ ადრეულმა გაზაფხულმა და შემდეგ აპრილის სიცივეებმა მეტად დააზარალეს სოფელი. აპრილში ძალიან ბევრგან მოვიდა თოვლი და ახლად ყვავილ-გამოღებული ბაღები და ვენახები დასძრა. როგორც გვატყობინებენ, თოვლი მოსულა ზემო-იმერეთსა, გორის მაზრასა, ბორჩალოს მაზრასა, საგარეჯოს მხარეს და ზოგიერთ სხვა ადგილას. ბორჩალოს მაზრაში ¼ ადლზედ დაუდვია თოვლი. საგარეჯოსკენ 12 აპრილს მოსულა თოვლი. უფრო დაუზარალებია სოფლები ხაშმი, ნინო-წმინდა, საგარეჯო, გიორგი-წმინდა და სხვა. სოფლელნი, რაღა ლაპარაკი უნდა, დიდად სწუხან ვენახებისა და ბაღების წახდენას.

✦ საქართველოს ექსარხოსი ალექსი ამ მოკლე ხანში აპირებს დასავლეთ საქართველოსკენ გამგზავრებას და იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიების დათვალიერებას. ექსარხოსს, როგორც გადმოგვცეს, თან ახლდება საქართველოს სამრევლო-სკოლების ზედამხედველი დეკ. ი. ვოსტორგოვი. დასავლეთ საქართველოდგან დაბრუნების შემდეგ ექსარხოსი ყარსისაკენ აპირებს გამგზავრებას იქაურ ეკკლესიების სარევიზიოდ.

✦ გუშინ-წინ საღამოს, 24 აპრილს, კრება ჰქონდა საეკკლესიო მუზეუმის კომიტეტს. კომიტეტის თავმჯდომარეს ყოვლად-სამღვდელო კირიონს მუზეუმი უნდა ჩაებარებინა კომიტეტისათვის. კომიტეტმა მოისმინა ქაღალდი სიონის ტაძრის კანდელაკის მ. ანტონ თოთიბაძისა, რომ იგი უარს ამბობს ჩაიბაროს მუზეუმი. კომიტეტმა გარდასწყვიტა სთხოვოს ექსარხოსს, რომ მუზეუმი ჩაიბაროს იმ კომისიამ, რომელიც ამას წინად იქმნა არჩეული კომიტეტის წევრთაგან.

✦ ამას წინად გარდაცვალებულ ისტორიკოს ა. დ. ერიციანს მდიდარი ბიბლიოთეკა დარჩენია თურმე. უმთავრესად ბიბლიოთეკა შეიცავს ისეთ წიგნებს, რომელთა შინაარსიც კავკასიას შეეხება. უფრო ბევრი რუსული და სომხური წიგნი ყოფილა. ამას გარდა, დარჩენია 40 ძველი ხელთ-ნაწერი და 9,000 ისეთი საბუთის ქაღალდი, რომელიც კავკასიის უკანასკნელ საუკუნოების ისტორიას შეეხება.

✦ ტფილისის გუბერნიის უძრავ ქონებაზედ უკვე გააწერეს სახელმწიფო საქალაქო გადასახადი 1902 წლისა. სულ ტფილისის გუბერნიის ქალაქებმა უნდა გადაიხადონ 134,000 მანეთი. ეს გადასახადი ასეა განაწილებული:

ტფილისი	122,814	მანეთი.
ახალციხე	2,267	„
სიღნაღი	1,910	„
გორი	1,898	„
თელავი	1,489	„
კოჯორი	1,462	„
ახალ-ქალაქი	1,413	„
დუშეთი.	453	„

✦ გაზეთების სიტყვით, სამთო გამგეობის უფროსად ყოფილს ბ-ნ შოსტაკს შუამდგომლობა აღუძრავს, ნება მიეცეს გამოიკვლიოს ქუთაისისა, ტფილისისა და განჯის გუბერნიების ზოგიერთი ადგილები, სადაც მას ოქრო ეგულება. ამასთან ბ-ნი შოსტაკი თხოულობს სხვას აეკრძალოს ამ ადგილებში კვლევა-ძიება. ბევრად უკეთესი იქნებოდა ბ-ნ შოსტაკისათვის მთელი კავკასია დაესახელებინა და ეთხოვნა, რომ იქ გამოკვლევა სხვებისთვის აეკრძალათ. ჯერ ბ-ნ შოსტაკს ოქრო არსად აღმოუჩენია და აღკრძალვას-კი თხოულობს.

✦ სახელმწიფო საბჭოში, როგორც „კავკაზს" ატყობინებენ, წინადადება შეუტანიათ იმის შესახებ, რომ ბაქოს ნავთის მწარმოებელთა საბჭოს უსასყიდლოდ დაეთმოს ახალი ნავთიანი ადგილები.

✦ ტვერის დრაგუნთა რაზმის როტმისტრი თავადი ერისთავი დაუნიშნავთ საპოლიციო დარაჯის ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებლად ყარსის ოლქში.

✦ მერვიდგან მიუღიათ ოთხი ვაგონი ბამბის თესლი. თესლის შეძენა ყველას შეუძლიან. იყიდება ფუთი 75 კაპეიკად. თესლით დატვირთული ვაგონები სადგურებს ევლახსა და დიაკშია. მსურველმა აგრონომს ტარატინოვს უნდა მიჰმართოს.

იმერეთის ამბები.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ საწინააღმდეგო ვერა დაინახა-რა იმისა, რომ ქალაქმა ქუთაისმა ხელშეკრულობა დასდოს ინჟენერ მიხაილოვთან ქუთაისში ელექტრონის რკინის გზის გასაყვანად და საწარმოებლად. სამინისტრომ საჭიროდ სცნო მხოლოდ, რომ ტეხნიკური პროექტი შესწორებულ იქმნას სატეხნიკო-საამშენებლო კომიტეტის შენიშვნათა თანახმად და შემდეგ სამინისტროს წარედგინოს განსახილველად. ამას გარდა, ელექტრონის გზის გამმართველთ უნდა შეასრულონ ის პირობანი, რომელნიც ფოსტათა და ტელეგრაფთა მთავარ გამგეობას აღუნიშნავს.

✦ როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, 21 აპრილს ქუთაისში წლიური კრება ჰქონდათ, დ. ა. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით, ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრებს. კრებამ დაამტკიცა შარშანდელის წლის ანგარიში და მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა და აირჩია თანამდებობის კაცნი. როგორც ანგარიშიდგანა სჩანს, საზოგადოებას ჰყოლია 1470 წევრი, მთელს აღებ-მიცემობას 55 მილიონისთვის გადაუჭარბებია. ჰქონია თანხანი წევრთაგან შემოტანილი 151,660 მან., სათადარიგო თანხა 54,305 მ. 49 კ.—50,868 მან. 93 კაპ., თავნი სახელოსნო და სამრეწველო სასწავლებლისათვის 33,749 მ. 37 კაპ., მიმდინარე ანგარიშზედ შეუტანიათ 419,540 მ. 70 კაპ., სასარგებლოდ შეტანილი ვადაზედ მისაღებად 714,328 მან. ვექსილები დაუხურდავებია 980,415 მან. 48 კაპ., მიმდინარე ანგარიშით გაუცია და შავის-ქვით უზრუნველ-უყვია ეს გაცემული—422,595 მან. მოგება დარჩენია 33,825 მან. 68 კაპ. მთელის წლის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია 20 მილიონამდე მან. კასაში შესულა ნაღდი 8 მილიონამდე; წლის განმავლობაში გასავალიც ამდენივე ჰქონია და კასიდგანაც ამდენივე ნაღდი გასულა. წევრთ დარჩათ დასარიგებლად 23,170 მან. აქედგან თითოეულს ას მანეთს თავნის ფულისას ჰხვდება დივიდენდი 11 მან. 50 კაპ. და კიდევ პრემია 4 მან. და 20 კაპ.

✦ წარსულ კვირას, ნაშუადღევის სამ საათზედ; ქუთაისის ციხის ეზოში თოფით დახვრიტეს ცნობილი ყაჩაღი ალექსანდრე ლორთქიფანიძე. იმავე ღამეს ჩამოახრჩეს მისი ამხანაგი მსახურია. ამათ სხვა სამს ამხანაგს ჩამოხრჩობა კატორგაში გაგზავნათ შეეცვალათ.

✦ „ცნ. ფურც."-ში ვკითხულობთ: „ამ სამი-ოთხის წლის წინად ქუთაისში გაჰხსნა დიდი სამანუფაქტურო ვაჭრობა ორმა ამხანაგმა სომეხმა. კარგი ვაჭრობა ჰქონდათ და ფულსაც ბლომად შოულობდნენ. აპრილის პირველ რიცხვებში მაღაზიის კარებზედ განცხადება გამოაკრეს ვაჭრებმა, იუწყებოდნენ, რომ ანგარიშის გამო მაღაზია რამდენიმე დღე დაკეტილი იქნებაო. ბოლოს აღმოჩნდა, რომ პატრონებს, რაც საქონელი ჰქონდათ, ჩუმ-ჩუმად სულ გაუზიდნიათ მაღაზიიდამ და სადღაც გაუგზავნიათ და კრედიტორებისათვის კი გაკოტრება გამოუცხადებიათ..."

✦ როგორც ამავე გაზეთს ატყობინებენ, ქუთაისის გუბერნატორს ვიცე-გუბერნატორის კალიჩოვისთვის მიუნდვია ადგილობრივ სათავად-აზნაურო სკოლაში სალიტერატურო საღამოს დროს მომხდარ ამბის გამოძიება.

✦ **დ. ყვირილა** (ზესტაფონი): ცოტა რამ უექიმობის შესახებ. წარმოუდგენელია ის გაჭირვება, რომელშიაც იმყოფება თვით ყვირილაში და უფრო მის ახლო-მახლო სოფლებში ხალხი უექიმობისა გამო. შემდეგ ბ-ნ ჯინორიძისა ყვირილაში მობძანდნენ კერძო ექიმებათ დროებით ჯერ ბ-ნი ვ. ღამბაშიძე და მერე ბ-ნი ვ. წერეთელი, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, რაღაც მიზეზებისა გამო, ერთმაც და მეორემაც თავი მიანებეს აქ სამსახურს და სხვაგან გადავიდნენ აქედან, რის შემდეგ ექიმის ძებნა დიოგენის ფარნით შეიქნა საჭირო, მაგრამ სად არის? არ იპოვება.

თუმცა არის ყვირილაში ერთი სამაზრო ექიმი, გამომწესებული მთელის შორაპნის მაზრისათვის ბ-ნი ტ—ი, მაგრამ იმოდენი დრო არა აქვს, რომ გასწვდეს აქაურს საჭიროებას.

უექიმობისა გამო გაჭირვებაში ჩავარდნილი ხალხი ხშირად იძულებულია ქუთაისიდან მოიწვიოს ექიმები და ნაცვლად 5 თუ 10 მან. ხუთი და ექვსი თუმანი მისცეს სასყიდლი. კარგია, ვისაც შეძლება ნებას აძლევს, თორემ ვინც ღატაკნი არიან, მათთვის ხომ ყოველივე გზა დახშულია.

თუ უექიმობით დაქვეითებულია ეს მხარე, სამაგიეროდ დაწინაურებულია „ფერშალ" ექიმებით, რომლების რიცხვიც ლეგიონია...

✦ **სოფ. ითხვისი** (შორაპნის მაზრა): აქ მშვენიერი თლილის ქვით ნაშენი წმ. იოანე ნათლის-მცემლის ეკკლესია გვაქვს. მ. ბლ. იოსებ წერეთლის და მღ. მ. ვლადიმერ კაპანაძის რჩევით ერთ-კლასიან სკოლის შენობაც ავაგეთ!

წრევანდელს ზამთარზე სიკეთის მეტი არა გვეთქმის-რა. მაგრამ აპრილმა ჩაგვაშხამა. მთლად წაახდინა ვენახი სიცივემ; აგრეთვე ყოველივე ხეხილი. მუხის ჩირგვებიც კი გადამწვარს დაამგზავსა.

კარგა ხანი არის, რაც დაბა საჩხერიდგან სასოფლო ქსენონი და ექიმი ს. ხარაგაულში (შორაპნის მაზრაა) გადაიტანეს. დავრჩით უექიმოთ. მოგვეცათ ღვთის წყალობა, ჩვენმა მკითხავ-ექიმბაშებმა გაიხარეს; იმათ დარჩათ ბურთი და მოედანი. ვინ იცის რამდენი არ გაგზავნეს საიქიოს და რამდენი ღვარძლი არ დათესეს.

✦ **ბათომი:** ბათომიდგან ხუთის ვერსის მანძილზედ ართვინის გზისაკენ იყიდება ბ-ნ ინჟენერის პასეკის 30 ნაჭერი ადგილი 600—1,200 ოთხ-კუთხ საჟნათ დაყოფილი. რამდენიმე ნაჭერი უკვე გაიყიდა, მაგრამ არც ერთ ქართველს იქ არა უყიდნია-რა, სულ სხვა ტომის ხალხმა იყიდა, რაც თვალ-საჩინო ნაჭრები იყო...

✦ **იქიდგანვე:** ბათუმში ქართველების ეკკლესიის ასაშენებელი ადგილი დიდი ხანია ქალაქმა დაუთმო, ადგილიც შუაგულ ქალაქშია, მაგრამ, აშენებას ეკკლესიისას მოვესწრებით თუ არა, ღმერთმა უწყის! ამორჩეულ-კომიტეტს სძინავს სადათას ძილით!

წერილი ბათომიდან

(აქაური ამბები)

ბათომი: აქ არის ორი რუსეთის მეგემეთა საზოგადოების სააგენტო; ამათ არა ერთხელ მიჰმართა ბათომის მუშათა არტელმა სამუშაოს იჯარით აღების სურვილით, მაგრამ ყოველთვის უარით ისტუმრებდნენ აგენტები არტელის გამგეს. აგენტები, რასაკვირველია, თავის პირად მოგების ინტერესისთვის არ აძლევდნენ არტელს სამუშაოს. ისინი უპირატესობას აძლევენ კერძო მოიჯარადრეებს. ამ კერძო მოიჯარადრეებისაგან ამ ორ საზოგადოებას არა მცირედი ზარალი მოუვიდა; მაგალითებრ, რუსეთის გემთა საზოგადოებას გამოუანგარიშნია და ბათომის სააგენტოში აღმოჩენილა, რომ 29,000—მანეთის საქონელი დაკარგულა თურმე. ამ საქმეში ბრალი დასდებიათ მოიჯარადრე მუშას და საწყობის მოხელეს, რომელნიც თურმე საქონელს ჩუმად საწყობიდან უგზავნიდენ ბათუმის ვაჭრებს და ნახევარ, ხან მესამედ ფასად ჰყიდდენ. ამ ნაირის მოხერხებით საწყობის მოხელემ, მოიჯარადრე მუშამ და ზოგიერთმა ვაჭარმა გვარიანად შეიძინეს ქონება... ამათი მოქმედება გამომჟღავნდა და თავს მოახვიეს ბრალი ბ-ნ ვაკიეს, საზოგადოების აგენტს, რომელიც 20 წელიწადზედ მეტია აქ აგენტად არის. ამის გამო ბ-ნი ვაკიე დროებით გადამდგარია აგენტობიდან და მის მაგიერ, ეს სამი თვეა, სხვა არის აგენტად დანიშნული. ასეთ დამსახურებულ და პატიოსან კაცს, როგორიც არის ბ-ნი ვაკიე, ეს არ დაემართებოდა, სამუშევარი რომ მიეცა ბათომის მუშათა არტელისათვის, რომელიც მთავრობის მიერ დამტკიცებულიც არის და თან ყოველ შემთხვევაში შეუძლია პასუხი აგოს საზოგადოების წინაშე ზარალისათვის. ნუ-თუ ეხლა მაინც არ მიჰხვდებიან ამ საზოგადოებათა აგენტები და თავიანთ ნამუშევარს არ მისცემენ ბათომის მუშათა არტელს?

შესაძლებელია ამ ორმა საზოგადოების აგენტმა მისცეს სამუშევარი ბათომის მუშათა არტელს, მაგრამ აქ საჭიროა არტელის სტაროსტის მოქმედება და მეცადინეობა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, არტელის სტაროსტა არ მხნეობს, არ იწვევს წევრთა კრებას და არტელის საქმეების გაუმჯობესებისათვის არას ჰფიქრობს! საკვირველია ღმერთმანი, არტელი ჯამაგირს აძლევდეს თვეში 50—60 მანეთს სტაროსტას და ის-კი არაფერს აკეთებდეს!.. არტელს

დაარსებისას 8,000 მანეთი ჰქონდა თანხა. ახლა-კი 1,500 მანეთამდე შემცირდა და აწი ესეც, მგონია, მთლად გაწყდება.

—

არტელის რევიზიის წევრებსაც უნდა გუსაყვედუროთ, რადგან ისინიც არტელისთვის „მეტი ბარგი არიან, არას აკეთებენ. აგერ წელიწადი გათავდა, რომ ბ-ნ გრიელსკის 300 მან. გადასცეს წესდების შესასწორებლად. წესდება, როგორც გრილსკი შეგვპირდა, უნდა ყოფილიყო მზად სამის თვის განმავლობაში, დღეს-კი 12 თვე გათავდა და მაინც არ არის მზად! ამას არც სტაროსტა, არც რევიზიის წევრნი ყურადღებას არ აქცევენ!

—

აწ გაუქმებულ «აზოვის გემთა საზოგადოებას“ ჰქონდა წინად არტელის ფული 500 მან. თუმცა სტაროსტამ ბევრჯელ მიჰმართა პეტერბურგში საზოგადოების დირექტორს, მაგრამ პასუხიც ველარ მიიღო, არა-თუ ფული. ეხლა, როგორც ამბობენ, ეს 500 მანეთი უნდა მიღებული ჰქონდეს უწინდელს, ეხლა დათხოვნილ არტელის სტაროსტას და, თუ ეს მართალია, სჩანს მარტო სტაროსტას-კი არა, რევიზიის კომისიის წევრთაც სძინებიათ სადათას ძილით!..

ბათომის მუშათა არტელი ედავება როტშილდის ქარხანას 4600 მანეთს. საჩივარი ეხლა სენატშია. ეს ფული აი როგორ დაედვა როტშილდის ქარხანას: 1891—1892 წლებში არტელს ჰქონდა როტშილდის სამუშაო აღებული, დღეში 200—300 კაცი მუშაობდა, ნავთის ყუთები გადაჰქონდ-გადმოჰქონდათ. მუშაობის დროს ნავთიანი ყუთები ზიანდებოდა, რომელთაც ქარხნის ნოქარი ინიშნავდა და უკანვე აბრუნებდა ქარხნის საწყობებში. ამ დაზიანებულ ნავთის ყუთზედ (2—ფუთია) 2 მ. 30 კ. მიჰქონდა ქარხნის გამგეს არტელისაგან. დირებული ფასიც მიჰქონდა და დაზიანებული ყუთებიც. თუმცა არტელი ედავებოდა, რადგან ფულს დირებულად გვახდევინებთ, დაზიანებული ყუთები მაინც მოგვეცითო, მაგრამ ქარხნის გამგე, აწ გარდაცვალებული ბ-ნი ზრადლოვსკი, ყურადღებას არ აქცევდა არტელის კანონიერ მოთხოვნილებას.

ქესტობის გამო აქაურ დიდ ვაჭრის მევართლის საქონელი 25 აპრილს უნდა გაიყიდოს საჯარო ვაჭრობით, როგორცა სჩანს სასამართლოს ბოქაულის განცხადებიდგან.

სპირიდონ ხვიჩია.

ზემო-ჭალის ორ-კლასიანი სასწავლებელი

(წერილი ხაშურიდგან)

—

ზემო-ქალის სამინისტრო სასწავლებელი არსებობს 1881 წლიდგან. თითქმის აგერ 21 წელიწადი შესრულდება მის დაარსების შემდეგ. პირველად ორი განყოფილება იყო. რამდენისამე ხნის შემდეგ მოუმატეს კიდევ ორი განყოფილება. გაიარა რამდენმამე წელიწადმა და ისევ ორს განყოფილებაზე დააყენეს. შემდეგში ხან მოემატებოდა, ხან დააკლდებოდა და აი ამ ბოლოს დროს, როგორც იყო 1901 წელს, დაამტკიცეს სრულ ორ-კლასიან სასწავლებლად.

ამ დროს განმავლობაში, თითქმის ცხრა ზედამხედველი-მასწავლებელი გამოიცვალა. ორ-კლასიან სასწავლებლად გადაქცევას შეუწყო ხელი ერთის მხრივ ზედამხედველმა ბ-ნმა მუნტუანმა და მეორეს მხრივ საქსოვმა განყოფილებამ მოსწავლე ქალთათვის. ეს განყოფილება დაარსდა ამ რამდენისამე წლის წინად და მასწავლებლად იქმნა მოწვეული ხელსაქმის მცოდნე უცხოელი ქალი, რომელმაც თავის შრომით და მეცადინეობით მალე და მშვენივრად შეასწავლა ქალებს ქსოვა სხვა-და-სხვა საქსოვ მანქანებზე და შარშან საიუბილეო-სამეურნეო გამოფენაზე მიუსაჯეს სასწავლებელს პატარა ოქროს მენდალი, კარგის ქსოვილების გამოფენისათვის და შეგირდ ქალების-მიერ კარგად ხელთ-საქმის ცოდნისათვის.

რა იყო მიზეზი, რომ მასწავლებელნი ასე მალ-მალე იცვლებოდნენ ამ სასწავლებელში? რა და ის, რომ აქაურმა მცხოვრებლებმა არ იცოდნენ ამ სასწავლებლის მნიშვნელობა, არ უწყობდნენ ხელს არასფერში. არა სცემდნენ პატივს და არც, აძლევდნენ მნიშვნელობას სწავლა-განათლებას. წარმოიდგინეთ, ამ ოცდაერთმა წელიწადმა ისე განვლო ამ სასწავლებლისათვის, რომ ერთხელ არავის, თითქმის სულ არავის არ მოჰგონებია მისულიყო სასწავლებელში და გაეგო, რა მდგომარეობაში იყო, როგორ სწავლობდნენ მათი შვილები, შვილის-შვილები და მოკეთენი. გონება გახსნილნი ბევრნი მათგანნი გადადიან სხვა-და-სხვა უფრო-და-უფრო უმაღლეს სასწავლებელში: ერთხელ მაინც ეკითხნათ, რა დახმარებაა საჭირო? მეც ერთ დროს აქ მიმიღია პირველ-დაწყებითი სწავლა და ამხელია თვალები და ჩემისთანას რამტელ სხვას, ვინ იცის! მეც და ყველას, ვისაც-კი აქ უსწავლია, გვახსოვს, რომ ბევრჯელ, როდესაც სასწავლებელში მივსულვართ ზამთარში, თითქმის თავიდგან-ფეხებამდის გაყინულნი ცეცხლი არა ნთებულა სასწავლებელში და ხშირათ ჩვენს თვალებზე ცრემლები არ გამოლეულა. ჩვენი მშობლები-კი იმასა სცდილობდნენ, რომ რაც შეიძლებოდა მალე წავსულიყავით სასწავლებლად და-კი აღარა გვკითხავდნენ ჩვენც მიგვეჩქარებოდა საყინულესაკენ ცივს ზამთარში, თუ არა.

სივიწროვეც დიდი იყო სკოლაში, სასწავლებელს სამყოფი მაგიდები არა ჰქონდა და არცა აქვს ამ ჟამად; ერთს მაგიდაზე ვისხედით ოთხი და ხუთი შეგირდი, როდესაც თვითოეულზე უნდა მოთავსდეს მხოლოდ ორი შეგირდი. ამიტომაც ამ სასწავლებლის შეგირდები ყოველთვის, წინადაცა და ეხლაც, მოკლებულნი იყვნენ და არიან იმ საგნების შესწავლას, რომელნიც აუცილებლად საჭირო შაგირდებისათვის პირველ დაწყებითს სკოლებში. ასეთი საგნებია მაგალითად: ხატვა, კარგის წერის შესწავლა და სხვ. სასწავლებელს და მასწავლებელთ არა აქვთ საჭირო სასკოლო ავეჯი და სასწავლო ნივთები და ეს გარემოება ძრიელ ხელს უშლის. რა ჰქნას აქ მასწავლებელმა? რა ღონის-ძიება იხმაროს? თავისი ფული დახარჯოს, რომელიც ძლივს თვითდგან-თვემდე ჰყოფნის გამოსაკვებად? მე ისეთს მასწავლებელსაც შევხვედრივარ აქ, რომელსაც თავისის მცირე ჯამაგირიდგან გადაუდვია რამდენიმე მანეთი და შეუძენია სასწავლებლისათვის რაიმე საჭირო ნივთი.

და აი ყოველსავე ამას, ჩვენი საზოგადოება გულ-გრილად ეპყრობა. მართალია, ამ სასწავლებლისათვის გადადებულია ყოველ წლივ 2000 მანეთი, მაგრამ ამ ფულში ჩართულია მასწავლებელთა ჯამაგირიც, ხოლო მათი რიცხვი ამ ჟამად ოთხია. ორიც კიდევ მასწავლებელთა თანაშემწეა. ამიტომ ამ ფულიდგან დიდი არა რჩება-რა საკუთრივ სკოლის საჭიროებისათვის.

ამას წინად სასწავლებლის ზედამხედველმა ბ-ნმა მუნტუანმა გამართა სალიტერატურო საბავშვო სალამო სასწავლებლის დარბაზში. მონაწილეობას იღებდნენ პატარა შეგირდები, მშვენივრად მომზადებულნი. უპირველესად ყოვლისა, ბ-ნმა მუნტუანმა წაუკითხა საზოგადოებას ამ სასწავლებლის 21 წლის ბიოგრაფია. გააცნო ხალხს მნიშვნელობა ამ სასწავლებლისა, როგორ მიმდინარეობდა და რა მდგომარეობაში იყო და არის ამ ჟამათ და რას საჭიროებს. წაიკითხა რამდენი ყოფილა გადადებული წელიწადში სასწავლებლისათვის და ჰყოფნის თუ არა ეს ფული. ერთის სიტყვით, გააცნო საზოგადოებას ყოველივე გაჭირვება და დალხინება ამ ფრიად სიმპატიურ დაწესებულებისა და სთხოვა საზოგადოებას დახმარება. ბ-ნი მუნტუანი, რაც შეიძლება, სცდილობს ამ სასწავლებლის დაწინაურებას და კიდევაც წამოაყენა ფეხზედ, რაც მტკიცდება მით, რომ ჩვენი შეგირდები დღეს გალობენ საეკკლესიო გალობას და ამბობენ მშვენივრად სხვა-და-სხვა საერო სიმღერას. ხოროს ლოტბარობს თვით ბ-ნი მუნტუანი.

საშობაოთ იყო გამართული შობის ხე და სხვა-და-სხვა გასართობი. ამას გარდა ხშირად იმართებოდა ამ სასწავლებელში საბავშვო წარმოდგენები, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ თვით შეგირდები.

ამ ჟამად სკოლას დიდად ეხმარებიან: კნეინა ხიდირბეგოვისა, რომელმაც სხვათა დახმარებით გაჰმართა ქართული წარმოდგენა და სასწავლებელს შეჰმატა 27 მანეთი, ამ სკოლის მასწავლებელი ქალი ქ. ბილანაშვილისა, რომელიც დიდად სცდილობს ჩვენს პატარა მოსწავლე ქართველებს ხელი შეუწყოს და განავითაროს.

მადლობის ღირსნი არიან ის თანამგრძნობელნიც, რომელთაც შესწირეს სკოლას სხვა-და-სხვა საჭირო ნივთები.

ამ ორის წლის განმავლობაში ძრიელ დაწინაურდა ზემო-ხსენებული სასწავლებელი. სკოლას აქვს მშვენივრად მოწყობილი საქსოვი მანქანები და ხელ-საქმესაც მშვენივრათ ასწავლიან. მედალი ხომ მიიღო სასწავლებელმა, მაგრამ მაგარი ის არის, რომ დიპლომს, რომელშიაც 25 მანეთსა სთხოვენ—გამოსყიდვა უნდა და აი დღევანდლამდის, სიღარიბის გამო, ვერ შეიძინა დიპლომი სასწავლებელმა. მივმართავთ სკოლის თანამგძნობელთ და ვსთხოვთ, რომ არ დაიშურონ თავისი შრომა და ამ მომავალს ზაფხულს, გაჰმართონ რამდენიმე წარმოდგენა სასწავლებლის სასარგებლოდ, რომელსაც მატერიალურად დახმარება სჭირია.

ჩვენს დაბაში კიდევ არსებობს მეორე სასწავლებელი, რომელსაც ინახავს რკინის-გზა თავის ხარჯით და არც არაფერი უჭირს დასახმარებელი, რადგანაც საფუძვლიან და მაგარს საძირკველზედ გახლავთ დამყარებული ქონებრივ, მაგრამ, ამ სასწავლებლის ამბავს შემდეგში მოგახსენებთ.

ნიკოლოზ სიხარულიძე.

რუსეთი

—

ამ ჟამად პეტერბურგის დედათა სამკურნალო ინსტიტუტიდან უნდა გამორიცხულ იქმნას სწავლის ფასის შეუტანლობის გამო 100 სტუდენტი-ქალი.

— გზათა სამინისტრო აპირებს შეიმუშავოს ისეთი ღონისძიებანი, რომ მგზავრთ უშიშრად შეეძლოთ სიარული რკინის გზით. ეს საქმე ცალკე კომისიასა აქვს გადაცემული.

— უწმიდესმა სინოდმა შესაძლებლადა სცნო, რომ დედათა სქესის წარმომადგენელნი დაინიშნონ ხოლმე ვაჟების ორ-კლასიან სამრევლო სკოლების მზრუნველებად.

— 30 აპრილისთვის დანიშნულია კრება რუსეთის ყველა რკინის გზის წარმომადგენელთა.

— ყველა რკინის გზას ებრძანა, რომ სამის დღე-ღამის შემდეგ 48 საათის განმავლობაში მიეცეს დაწესებული ფული მგზავრს, თუ ბაგაჟი უკან არ დაუბრუნა რკინის გზამ თავისს დროს.

— სპარსეთიდან ამბავი მისულიათ მოსკოვს, რომ თეირანში დაიმართა განყოფილებანი რუსეთის დიდ სამანუფაქტურო ფაბრიკებისა. რადგან რუსეთიდან საქონლის გზავნა სპარსეთს უფრო იაფად ჯდება, ვიდრე ინგლისიდან, ამიტომ ჩვენებურს ჩითებს უფრო ყიდულობენ, მაგრამ ჩითეულობა ჯერ ცოტაა აქ მოსული რუსეთიდანაო.

— ამას წინად გარდაცვალებულმა საერო განათლების მინისტრის საბჭოს წევრმა ა. რაზცვეტოვმა დასტოვა ანდერძით 800,000 მან. შეუძლებელ მკურნალთა თავშესაფარის დასაარსებლად მოსკოვში. ამ ფულის სარგებელი ჯერ-ჯერობით უნდა ეძლიოს რაზცვეტოვის ცოლს, ვიდრე ცოცხალი იქნება. რაზცვეტოვმა სიცოცხლეშივე შესწირა ფული მოსკოვის უნივერსიტეტში სტიპენდიების დასაარსებლად.

უცხოეთი

—

ავსტრ-უნგრეთი. დროებით სიწყნარე ავსტრიაში. ხანგრძლივის ბრძოლით მოღალულნი ერნი ისვენებენ, მაგრამ მცირე ხნით. არ გავა უთუოდ დიდი დრო, რომ ხელ-ახლა ასტყდება ძველებური ბრძოლა გერმანელებსა და ჩეხებს შორის და ამ ბრძოლის საგნად ენათა შესახებ კანონ-პროექტი იქმნება. ენათა გამო ბრძოლა ავსტრიაში, როგორც მკითხველებმა უთუოდ უწყიან, არ ახალია, ძველია. კარგა ხანია ჩეხნი თავიანთ სამშობლოში ენათა თანასწორობას თხოულობენ, მაგრამ გერმანელნი არ უთმობენ და, ძველად ბატონობას ჩვეულნი, მომავალშიაც ბატონობას თხოულობენ. ამას წინად გავაცანით მკითხველებს გერმანელთა მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი ენათა შესახებ. ამ პროექტით გერმანელნი ყველაფერს თავისკენ ითლიან და, თანასწორობის ნაცვლად, პირველობას არ უკარგავენ გერმანულ ენას.

თავის მხრივ მლადოჩეხნიც შეუდგნენ ენათა შესახებ კანონ-პროექტის შემუშავებას. ამბობენ, ზაფხულში კერბერი პრაგას წავა მოსალაპარაკებლადაო, და ჩეხებს უნდათ ამ დროსთვის მზად იყვნენ. ჩეხებს გადაუწყვეტიათ, მხნედ შეუდგნენ საქმეს და, ასე თუ ისე, ეცადნენ თავიანთის სურვილის განხორციელებას. ჩეხნი ეხლა ემდურებიან კიდეც თავიანთ თავს, რომ საქმის გაკეთების ნაცვლად ბევრ დროს ვანდომებთ უქმ ლაპარაკს და ოცნებასაო. აი, რა უთქვამს ჩეხელ მოღვაწეს კრამარჟს: „ჩვენ, ჩეხებს, ერთი სამწუხარო თვისება გვაქვს. გატაცებით ვსჯით და ვლაპარაკობთ მაღალს მატერიებზედ; თეორიით ადვილად ვარკვევთ რთულ პოლიტიკურ და სოციალურ საგნებს; ოცნებას თამამად ვეძლევით, ვაშენებთ ამ ოცნების წყალობით კოშკებს და როდესაც ეს კოშკები ირღვევა, ვტირით და ვწუწუნებთ. მაგრამ როდესაც საქმე ცხოვრებასა და კონკრეტულ საგანზედ მიდგება, აშკარავდება ჩვენი მოუმზადებლობა და უ ცობა, მოკლებულნი ვართ ასეთ შემთხვევაში ერთობას, ყველა თავისად ჰფიქრობს, თავისად აკეთებს. ჩემის აზრით, მიზეზი ყველა ამისა პოლიტიკური უდისციპლინობაა“. მლადოჩეხებს გადაუწყვეტიათ შემდეგში მაინც აიცილონ თავიდგან უდისციპლინობა და ამიტომ გულ-მოდგინედ მუშაობენ ნიადაგის მოსამზადებლად პრაქტიკულ მუშაობისათვის. პირველ სამუშაო საგნად მათ ენა გაიხადეს.

ფელეტონი

—

უიღბლო-იღბლიანი

(ზღაპარი)

I

იყო და არა იყო-რა,
ასე იწყობა ზღაპარი:
ყოფილა ერთი ოჯახი,
უბადლო, არ ჰყავს სადარი;
სამს ძმას სამება სწყალობდა,
მისი კალთა აქვთ საფარი.
მსურს გითხრათ მათი ამბავი,
სიცრუე-სიმართლე რაც არი.
ჯერ ხანად მე და ჩემს სტვირსა
არ დაგვდგომია ზამთარი,—
გული საგრძნობლად და ენა
გრძნობის სათქმელად მზად არი.
ეს ფიქრი მტანჯავს მხოლოდა,
როგორც თავის მსხვერპლს ჯალათი:
უსამართლობა სიმართლეს
რისთვისა სჯაბნის ძალათი?—
ზოგს ნიჭი მისცა უფალმა,
ყოფა-ცხოვრების დავლათი;
სხვას დაუწესა მკლავზედა
სამთხოვარაოდ კალათი.—
ლხინის, ქორწილის შემდგომა
გამწყრალი მოდის მაყარი
და ერთ დროს მლოცველით სავსე
დანგრეული სდგას საყდარი.
ზოგს ამოჰშხამდა თვის ლუკმა,
ალალის ოფლით ნაღვარი,
სხვას შეჰრჩა, კიდეც შაერგო
სარჩო ნაქურდალ-ნაპარი.
გულის სიმთ ამაჟღერალი
სწორედ მიზეზი აქ არი.
განსაჯეთ თავ-თავისადა
ვისაც რამ გქონდესთ მიზანი:
ფიქრთაგან ერთი მკვიდრია,
ხოლო მეორე ხიზანი...

II

ძმებს ურიცხვი ჰყავთ ცხვარ-ძროხა
ცხენ-აქლემების ჯოგები.
თითონაც ეცვათ ტანზედა
ბუზმენტიანი ჩოხები,
როგორც ვარსკვლავნი ცაზედა
მინდვრად სჩანს იმათ ძროხები.
უსამზღვრო სახნავ-სათიბი,
ზვრები თვალ-გადუწვდენელი.
ქვევრები ზოგი ღვინისა,
ძირზე სარცხ-დაუწვდენელი,
სხვები ძველებურ წესზედა,
სულ ოქრო-ვერცხლით სავსეა,
თუ ღმერთი კეთილად გვხედავს
რად გიკვირთ, მუდამ ასეა.
ყველას, რაც კაცის გულს უნდა
აქა ჰპოვებდით უხვადა,
ყველანი ნაქებნი იყვნენ
მოამაგდარე მუშადა.
ქალებიც კაცებს ჰშველოდნენ
შინ როდი ისხდნენ კრუხადა!
ვინ გაიმეტებს ამ ოჯახს
დასანგრევ-დასაღუპადა!!
იმათ დარბაზით ისმოდა
მუდამ ლხინის ხმა, ღრეობა.
ასეთ ლხინს ვერ შაესწრობა
თვით ალავერდის დღეობა.
მაგრამ კაცთაგანს მრავალსა
თვალი აქვს შურის მთოვნელი.
„ვინ მისცათ ამდენი სარჩო“
ამას ამბობდა ყოველი,
სტუმარი, ვინაც შეიქმნა
იმათ პურ-ღვინოს მწოვნელი.
გლახაკიც მრავალი მოსდით
ერთხელ გაძღომის მთხოვნელი,
ორი ძმა ბევრს ყურს არ უგდებს
გლახაკებს, იმათ ხახებსა,
მხოლოდ საბრალო ჰმასპინძლობს
პურით და ღვინით საწყლებსა.
ეს უნცროსია, გუდაშიც
ყველას ჩაუდებს საგძლებსა.

უყურეთ ბედის სიმუხთლეს,—
უბედურობის რჩოლასა:
უკუღმა მიდის მათ ბედი,
სასვაოდ შეიქმს სრბოლასა.
უფალმა ბრძანა: რას იზმენ
თუნდ ალოცვინონ მოლასა,
მაინც ვერსიდან შესძლებენ
ძველებრ საქონლის ყოლასა,
ვერც პურის, ვეღარც ღვინისა,
ვეღარც ფულების ქონასა.
აღარ აქვს მადლი და ხვავი
ძმების ოფლსა და შრომსა.
ბედი ხან ბატონსა სწყალობს,
ხან გაუღიმებს მონასა!
ცხვარიც ილევა, ძროხაცა
ზვრებმაც როდიღა დაისხა,
ყანებიც მოსცდა; ხუთს წელსა
თავ-თავი აღარ აისხა.
გაბრაზდა მიწა, გაჯავრდა,
გულში ნაღველი ჩაისხა
მარტო ამათთვის.—სხვას ბევრსა
უებრო მისცა ნაყოფი,
ბევრს ღვთის ამარად შთენილსა
მისცა საზრდო და სამყოფი.

III

ქვეყნის ყბა მოუღალავი,
ბევრის რისმეა მთხრობელი.
სამს ძმაში ორსა სწუნობდა
სჯა-ფიქრით გამომცნობელი,
უნცროსს-კი ალალს ეძახდა
უზარ-მაზარი სოფელი.
„კაცია, ქვეყნის ბადალი,
„დედა უცხონდა მშობელი!“
ერთიც არ გამოჩენილა
ალალ-მართალის მგმობელი.
იგი მუშაობს ერთგულად,
წელებზე იდგამს ფეხებსა,
ცხავ-ცხრილებსა ჰქსოვს მართალი,
სთლის ნიჩბებს, სჩორკნის კეხებსა,
სოფელ და სოფელ ატარებს
ჰყადის ავაჭრებს გლეხებსა.
ჰფიქრობს საბრალო მუდამ ჟამს
ოჯახის შესამატებსა.
თავის გარჯასა და ოფლსა
არავის დააკვეხებსა.
არა თაკილობს საბრალო
ასეთს ხელობას გლახურსა.
სხვას არ შაეძლო ეს საქმე
ისეთ სიმდიდრე ნახულსა;
ეხლა აყუდებს ნიჩაბსა
წინანდელს თავის მსახურსა.
თან ეტყვის: „ძმებო, ნუ გიკვირსთ,
ღვთისაა ჩვენი ქონება
მანამდე ჰნებავს გვაკუთნებს.
როს სხვად გაუჭრის გონება
ისევ წაგვართმევს თავისას,
ჩვენ ან რა გვეთქმის მაზედა?
ხომ იცით ხან ყინული წევს,
ხან ყვავილია მთაზედა?!“
იტყოდნენ, ვინცა ჰნახავდა;
„ეგ ომარაანთ ბიჭია.
ახ, რა ოჯახი დანელდა,
როგორ დაჰკარგეს ნიჭია.
როგორ ერთბაშად დაეცნენ,
რა გამოუტყვრათ ხინჯია?!“
ცდილობს ეწამლოს რითიმე
დავრდომილს ოჯახს, ბეჩავსა,
ამის გულისთვის ირჯება
ათასს ხელობას ჰბედავსა.
ძმები-კი ნაორგულარსა
ჰმალვენ ცოლების სკივრშია;
ალალს ძმებისგან ღალატი
არც-კი გაუვლის ფიქრშია,
თუნდაც გაიგოს არავის
ის არ გაიწვევს კრივშია.
მის საზრუნავი ის არის
რით გაალაღოს ძმებია,
თითონ თუნდ ერთი ფირქლიცა
ჯიბეში არა სდებია.
ცდილობს ყოველის ღონითა
ერთგული ჰყვანდეს ძმობასა,
აორკეცებდეს მხნეობით
სახლის კეთილის-ყოფასა.
უზიდავს სალაღობელსა
რძლებს, ძმისწულებსა, ყველასა.
თითონ-კი გლახაკად დადის,
ატარებს ჩოხის ძველასა.
ჰფიქრობს: ძმებს კარგა ტანთ ეცვათ
ძვირფასი ფარჩა რაც არი,
თითონ თუნდ ხამის პერანგი
იმათი გამონაცვალი.
იმათთვის საზრდოდ ენატრის
მუდამ თაფლი და შაქარი
და თითონ კმაყოფილია,
თუ აქვს ნაფშრუკი ნაცარი.

IV

არ იქნა, ერთის სიმართლემ
ვერ გამოიხსნა ოჯახი,
ვერას ჰშველს იმას საბრალო
თუნდ გახდეს ასჯერ ყოჩაღი.
გასაწყალდნენ, მაინც გასაწყალდნენ:
სამი დღის უდგათ ფეტვია,
არსად არ მოეპოვებათ
ნახნავი ამის მეტია.
გაღარიბებულს ოჯახსა
ესხმის თავ-ბრუ და რეტია.
სთქვეს ძმებმა: გავიყარნეთო,
თუმც არ ულონებს მართალი...
ასრულდა კიდეც იმავ დღეს
ორის ჰკვის ჩამონათალი.
გაიყვეს თუ რამ ებადათ,
სამად გაიყვეს ფეტვია;
წილების უსწორობაზედ
არვის რა დაუყბედია.
სამივე კმაყოფილია
თავის ბეჩავის წილითა.
ფეტვის მომკასაც თავის წილს
ყველა აპირობს დილითა.
მაგრამ იმ ღამეს გაავდრდა,
თან სეტყვაც წამოურია;
ცა ჯავრობს, წყრება ფრიადა,
ქვეყნის დაღუპვა სწყურია.
თქვენს მტერს, რომ მეორე სდგას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეხებს უნდათ უეჭველად აალაპარაკონ კერბერი და თავისი პროგრამა გამოამზევებინონ. დღემდე ავსტრიაში არავინ იცის კერბერის აზრ-შეხედულობა, არ იციან სახელმწიფო საქმეში რის მომხრეა ეს მინისტრი: ფედერატიულ, ერთა თანასწორობის უფლებისა, თუ გერმანელების ძველებურ ბატონობისა. ყოველთვის, როდესაც-კი კერბერს ულაპარაკნია, ნისლ-ბურუსში გაუხვევია თავისი აზრები. პოლიტიკურ პრინციპებზედ ყოველთვის სდუმდა მინისტრ-პრეზიდენტი. ეს დიპლომატიური ხერხია, მაგრამ ასეთის ხერხით შორს ვერ წავა კერბერი, დღეს არა, ხვალ, ერთი გზა უნდა აირჩიოს: ავსტრიაში ან ერთა თანასწორობის დამყარებას უნდა ეცადოს, ან კიდევ გერმანელთა ბატონობის განმტკიცებას. და აი, მომავალ თათბირზედ ჩეხები ეცდებიან, ენის შესახებ კანონ-პროექტის წყალობით, იმის გაგებას, რომელ ბანაკს ეკუთვნის კერბერი.

ენებზედ ლაპარაკი ავსტრიაში პირველად მლადო-ჩეხებმა ჩამოაგდეს. იმათ მოითხოვეს თავისუფლება და თანასწორობა ენისა და უკან დასწიეს საკითხი ჩეხთა სახელმწიფო უფლების შესახებ, რომელსაც ასე ებღაუჭებოდნენ ეგრედ წოდებული სტარო-ჩეხები. 1874 წელს მლადო-ჩეხებმა პირველად წარუდგინეს თავიანთი პროგრამა სეიმს. ორის წლის შემდეგ ე. გრეგი სწერდა ღია წერილში სტარო-ჩეხს რიგერს, რომ სახელმწიფო უფლებას არავითარი ფასი არა აქვს, თუ მას თან შესაფერი ძალა არ ახლავს, რომელსაც შეეძლოს ხორცი შეასხას ამ უფლებას... „რასაკვირველია, ამბობდა შემდეგ გრეგი, ისტორიული უფლება დიდი განძია, მაგრამ ჩვენ გაზვიადებულ მნიშვნელობას ვაძლევთ ჩვენს ისტორიულ უფლებას. პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა წამოვაყენოთ ბუნებრივი და არა ისტორიული უფლება“.

გრეგთან ერთად უფრო დემოკრატიულნი მლადოჩეხნი სწერდნენ: „დღეს არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს ძველ სიგელ-გუჯრებს. ჩვენი ხანა სახელმწიფოს დაფუძნებას ახალ ნიადაგზედ უნდა სცდილობდეს და არა ძველ ხელ-შეკრულებებზედ“. ამ დროდგან იწყება განხეთქილება სტარო და მლადო-ჩეხებს შორის. პირველ ხანს ჩეხებმა თითქმის სულ უარ-ჰყვეს თავიანთი ისტორიული უფლებანი, მაგრამ, პირველ გატაცების გავლის შემდეგ, სცნეს, რომ ისტორიული უფლებაც დიდი განძია და თავიანთ მოთხოვნილებებს ნაციონალიზმის იდეის გარდა ისტორიული უფლებაც დაუდეს.

ზემოდაც ვსთქვით, რომ მლადო-ჩეხებმა მთავარ საგნად ენა და იმის თავისუფლება გაიხადეს. ჩეხები ჰგრძნობენ, რომ ვიდრე სამშობლო ენა ცოცხალია, ვიდრე იგი მჭიდროდ დაკავშირებულია ხალხის კულტურულ და ეკონომიურ განვითარებასთან, მანამდე ისტორიულ უფლებათა მოპოვების იმედი დაკარგული არ არის. სწორედ ამიტომ ისტორია უკანასკნელის ათის წლისა—ენისათვის ბრძოლის ისტორიაა. ჩეხნი იბრძოდნენ ენისათვის ყველგან: სკოლასა, უნივერსიტეტსა, სასამართლოებში, ადმინისტრატიულ და ავტონომიურ დაწესებულებაში. ჩეხნი კმაყოფილნი იქმნებიან, რომ ბოჰემიაში, თავიანთ სამშობლოში, მათ ისეთივე უფლებანი ჰქონდეთ, როგორიც გერმანელებსა აქვთ. ჩეხნი ორისავე ენისათვის თანასწორ უფლებას თხოულობენ. ბოჰემიასა და მორავიაში ყველა ჩეხს და ყველა გერმანელს უფლება უნდა ჰქონდეს სამშობლო ენაზედ მიჰმართოს დაწესებულებებს, ამ ენაზედ აწარმოვონ საქმე დაწესებულებებმა და ამავე ენაზედ გასცენ პასუხი მთხოვნელს. ამიტომ, ამბობენ ჩეხნი, ყველა მოხელემ მორავიასა და ბოჰემიაში უნდა უეჭველად ორი ენა იცოდეს—გერმანული და ჩეხური. გერმანელნი, რასაკვირველია, წინააღმდეგნი არიან ამისა. ვნახოთ, რას ეტყვის კერბერი ჩეხებს ამ ზაფხულს მოლაპარაკების დროს.

— ტრანსვაალის სოფლელთა შორის, როგორც ავსტრიის გაზეთები იუწყებიან, არეულებებმა იჩინეს თავი. არეულებანი დღითიდღე ძლიერდება თურმე. ალზალის მცხოვრებნი სახლებსა სწვავენ, ორის დღის განმავლობაში მათ 251 სახლი დასწვეს. დღე არ გადის ისე, რომ ცეცხლმა რამდენიმე სახლი არ გაანადგუროს. მოხელეებს, რომელთაც საქმის გამოსარკვევათ გზავნიან სოფლებში, მეტად მტრულად უხვდებიან მცხოვრებნი და სიკვდილს ემუქრებიან. ზოგი მოხელე ღამით გაიპარა, რადგანაც აღელვებულ ბრბოს მრისხანებისა მეტად შეეშინდათ. თავად-აზნაურობა და სხვილი მემამულენი სტოვებენ აგრეთვე თავიანთ მამულებს და გარბიან. ბევრი მათგანი ცნობილნი იყვნენ ღარიბ მცხოვრებთა მოკეთე-დამხმარედ, მაგრამ ეს თვისებანიც ვეღარ პატიობს დღეს გამძვინვარებულ ბრბოს რისხვისაგან. დიდი არეულობა მოხდა, მაგალითად, გრაფ გეიკერის მამულში, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წლობით იგი 6—8 ათასს კრონს ურიგებდა ღარიბ მკვიდრთ. ჯარი დაიბარეს თურმე მშვიდობიანობის აღსადგენად აჯანყებულ ოლქებში.

ინგლისი. ერთის კვირის შემდეგ ბრისტოლში სალიბერალო ფედერაციის კონგრესი უნდა მოხდეს. ამ ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა უკვე გამოაქვეყნა თავისი წლიური ანგარიში. ანგარიშში ნათქვამია, რომ მთავრობის შეცდომათა წყალობით ომი ჯერ არ დამთავრებულა, რომ ამ ომმა უთვალავი ფული და ხალხი იმსხვერპლა. შინაურ ცხოვრებასაც მთავრობამ უფრო ზარალი მოუტანა, ვიდრე სარგებელი, უზომოთ გაადიდა გადასახადები. ყველა ამას გარდა მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს იმ სოციალურ რეფორმებს, რომელნიც ცხოვრებამ წამოაყენა. ლიბერალურ პროგრამის შესახებ კომიტეტი აცხადებს, რომ ფედერაციას არ გადაუხვევია იმ პროგრამისათვის, რომელსაც იგი 16 წლის წინად დაადგა. როგორც 1886 წელს, კომიტეტი ეხლაც იმეორებს, რომ ირლანდიის საქმე შეიძლება გადასწყდეს მხოლოდ პოლიტიკურ ავტონომიის მინიჭებით. ლიბერალური დასი, აცხადებს კომიტეტი, არაფრის გულისათვის არ უღალატებს ჰომრულსაო. კომიტეტს აზრად აქვს წარუდგინოს კონგრესს რეზოლიუცია ლიბერალთა გაერთიანების და დღევანდელ სამინისტროს წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. კომიტეტი ჰკიცხავს მთავრობას აგრეთვე ბურებთან შეურიგებლობისათვის. ამას გარდა, ანგარიშში აღნიშნულია უვარგისობა მთავრობის მიერ შემუშავებულ სახალხო განათლების პროექტისა და მავნებლობა პურსა და ფქვილზედ განზრახულ გადასახადისა. სალიბერალო დასი დიდ ბრძოლას გასწევს ამ გადასახადის წინააღმდეგო, ნათქვამია ანგარიშში.

— 15 აპრილს კრება ჰქონდათ ლორდთა პალატის სალიბერალო დასის წევრებს ამ პალატაში ოპოზიციის ლიდერის ამოსარჩევად. ამ თანამდებობას ასრულებდა ლორდი კიმბერლეი, რომელიც ამას წინად გარდაიცვალა. კრებამ ლიდერად ლორდთა პალატაში ლორდი სპენსერი აირჩია.

საფრანგეთი. გაზეთები საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემენ ამომრჩეველთა შესახებ. სულ 14 აპრილს საპარლამენტო არჩევნებში, მონაწილეობა მიუღია 8.863,727 კაცს. სამინისტროს მოწინააღმდეგეთ მიუღიათ სულ 3.352,845 ხმა. აქედგან: შეურიგებელ სოციალისტებს (გედისტებს)—144,738 ხმა, მთავრობის მოწინააღმდეგე რესპუბლიკელებს—1.103,576 ხმა, ნაციონალისტებს — 1.160,621, რეაქციონერებს—943,960. სამინისტროს მომხრეებს მიუღიათ სულ 5.198,193 ხმა. აქედგან: მომხრე სოციალისტებს (ჟორისტებს)—717,839, რადიკალ-სოციალისტებს—715,690, რადიკალებს—1.734,790 და ზომიერ რესპუბლიკელებს—2.029,874 ხმა. ამ რიგად სამინისტროს მომხრეთა რიცხვი მოწინააღმდეგეთა რიცხვს 1.845,298 კაცით აღემატება.—ხელ-ახლა ხმა გავრცელდა პარიჟში, რომ ვალდეკ-რუსსო თანამდებობას თავს ანებებსო.

ბელგია. ორის კვირის მღელვარება-არეულობის შემდეგ ბრიუსელში, როგორც იქნა, მშვიდობიანობა დაამყარეს. „Temps“-ის ბრიუსელელ კორესპონდენტის სიტყვით, ეხლა რიგი სასამართლოზედ მიდგა. „მთელ ამ უკანასკნელ დღეების განმავლობაში მსაჯულნი დაუღალავათ შრომობენ - სწერს კორესპონდენტი; ეს ეპილოგიაა მანიფესტაციათა. მთელი დღეები მიდის, იმ მანიფესტანტთა ბრალდების გარჩევაში, რომელნიც პოლიციასა და ჟანდარმებს შეუპყრიათ. რასაკვირველია, თითქმის ყველა იმათ სასჯელს უწყვეტავენ. მხოლოდ ერთი მანიფესტანტი გაამართლეს ამ მკაცრმა მსაჯულებმა. ჟანდარმები აბრალებდნენ იმას, რომ დაჭერის დროს სტვენა დაიწყოო; სასამართლოში-კი გამოირკვა, რომ არეულობის დროს იმისთვის ხიშტი ეკრათ მუცელში და თითქმის უგრძნობლად ყოფილიყო შეპყრობის დროს. აბა, რა სტვენა შეეძლებოდა ასეთ მდგომარეობაში! მანიფესტანტთა უმრავლესობას მუშები შეადგენენ, რომელნიც არეულობის დროს უიარაღოთ ყოფილან, მაგრამ მაინც თითო წლით დატუსაღებას უწყვეტავენ მათ.

ელიას ლიონროტი

(მის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების გამო).

27 მარტს ფინლიანდიამ იდღესასწაულა ასის წლის შესრულება დღიდგან დაბადებისა ერთის თვისის შესანიშნავის თანა-მემამულესი, ლინგვისტისა, პოეტისა და ფინთა საერო ნაწარმოების შემკრებელის ელიას ლიონროტისა.

ფინების საერო ეპოპეის—კალევალას შემკრებელი, რომელმაც თვისის საოცარის შრომით დასაბამი მისცა ფინთა ლიტერატურას, დაიბადა ერთის გლეხ-კაცის ღარიბს ოჯახში. ლიონროტმა ძლივს გაათავა კურსი აბოს უნივერსიტეტში, ისე იყო შევიწროებული სიღარიბითა და დაიწყო მკურნალობა ერთს პატარა ქალაქში არხანგელსკის გუბერნიის საზღვრად. აქ უმაწვილი კაცი მალე გაიტაცა დედა-ენის შესწავლის სურვილმა და ამ ენის სამეცნიერო კვლევა-ძიებამ. ფინების ენა მაშინ დიდად უგულებელ-ყოფილი იყო და თითქმის ყველა გულ-გრილად ექცეოდა ამ ენის განვითარების საქმეს. ახალგაზდა სწავლულმა დაიწყო შეკრება საერო ეპოსის ნაშთისა, დაიწყო ჩაწერა საზღაპრო „საგნებისა“, საერო გარდმოცემათა, ლეგენდებისა, ანდაზებ-გამოცანებისა, შელოცვათა. ყრუ და ველური მხარე, სადაც დასახლდა ლიონროტი, ხელს უწყობდა მის მუშაობას,—აქ ჯერ კიდევ არ გამქრალიყო ძველ დროთა გარდმოცემანი. ლიონროტი მალე სულითა და გულით მიეცა ამ საქმეს. ხშირად დადიოდა სამეცნიერო აზრით ფინლიანდიისა, კარელიისა და ლაპლანდიის მიდამოთა შორის და აუარებელი მასალა მოაგროვა. პირველად „კალევალას“ დაბეჭდვამ 1835 წელს დიდი სახელი მოუხვეჭა ამ ეპოპეის შემკრებელსა. „კალევალამ“, იმას გარდა, რომ დიდი სამეცნიერო ღირსება ჰქონდა, როგორც ერთს მთლიანს ძეგლს ფინების ეპოსისას, იმას გარდა, რომ სავსე იყო პოეზიით, ერთი დიდი სამსახურიც გაუწია ქვეყანას მით, რომ გაუღვიძა ერს საეროვნო ცნობიერება. „კალევალას“ წყალობით შემუშავდა სალიტერატურო ენა და ფეხი აიდგა სიტყვა-კაზმულმა მწერლობამ, რომელიც მანამდე სრულიად არ არსებობდა. მას უკან ფინების ლიტერატურა ძალიან წინ წავიდა, დამოუკიდებელი ადგილი დაიჭირა შვედურ ლიტერატურასთან ერთად და ახლა ცოტა არა ჰყავს დიდად ნიჭიერი წარმომადგენელი. ამისთანა ღვაწლისათვის ლიონროტი მიიწვიეს 1853 წელს უნივერსიტეტში ფინურის სიტყვიერების კათედრის დასაჭერად, თითქმის მაშინვე, როცა ეს კათედრა დაარსდა. 1863 წელს ლიონროტმა თავი დაანება პროფესორობას, დასახლდა თავის სოფელში და სცხოვრობდა იქ განმარტოებით და იძიებდა ფინურს ფილოლოგიას. ლიონროტმა შეადგინა, სხვათა შორის, შვედურ-ფინური ლექსიკონი. ერთ დიდ მის შრომად ითვლება გამოცემა ძველ საერო ლირიკულ ლექსების კრებულისა. ლიონროტი გარდაიცვალა ღრმა მოხუცებაში, 1884 წელს თავის სოფელში, სადაც დასაფლავებულ იქმნა. ფინების სალიტერატურო საზოგადოებამ აუგო ძეგლი 1886 წელს. ახლა ძეგლს უდგმენ «კალევალას» ავტორს ჰელსინგფორსშიაც, სადაც აგებული აქვს უკვე ძეგლი შვედების საერო პოეტს რუნებერგს.

წერილი რედაქციის მიმართ

ახალციხელმა ქართველებმა ჩვენს დამსახურებულს და ნიჭიერს არტისტს ვ. აბაშიძეს თავისს დროზე დეპეშით მიულოცეს ოც-და-ხუთი წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილეი. მაშინვე გადასწყვიტეს მცირედი ფულიც მოეკრიბათ თვისთა შორის და გადაეცათ იმ ფონდის გასაძლიერებლად, რომელსაც საგნადა აქვს დახმარება აღმოუჩინოს უძლურებაში ჩავარდნილ ქართველ არტისტებს. ხელის მოწერით შეიკრიბა სულ 63 მანეთი. აქედგან დეპეშის გაგზავნას მოუნდა 2 მანეთი, დანარჩენი 61 მან. ჩაბარდა დრამატიულ საზოგადოებას 23 აპრილს.

შემოსწირეს: ი. ორბელიანმა 5 მან., კონსტანცია მეფისაშვილმა, მღ. ლ. გოზალაშვილმა და ა. ყიფშიძემ სამ-სამი მანეთი; მარია გამრეკელმა, ევგენია ასათიანმა,მღ. ს. პუპულაშვილმა, დეკანოზმა დ. ხახუტაშვილმა, თავ. ა. ვაჩნაძემ, ა. მაისურაძემ, ი. ლაზარიშვილმა, თავ. ზ. მაქსიმენიმ, მ. ჩოფიკაშვილმა და ი. ჩაჩიკაშვილმა ორ-ორი მანეთი; თითო მანეთი: ნ. ასათიანმა, ანნა ფედოტოვმა, მთავარმა ტ. გარსიაშვილმა, ი. ნადირაძემ, სოფიო ნადირაძემ, ბარბარე ოქროპირიძემ, კნეინა თ. ვაჩნაძემ, კნ. ნ. ციციშვილმა, დ. ენუქიძემ, ი. ყანჩაველმა, ვ. ნასრაძემ, პ. პუტკიშვილმა, ს. ქობულაძემ, ა. ცაგარელმა, ბაბო სეხნიევმა, თ. კონ. შალიკაშვილმა, ს. ღვთისავრიშვილმა, ზ. საყვარელიძემ, ვ. მდივანმა, ან. ჯაფარიძემ, ვ. მესხმა, ა. მესხიშვილმა, ზ. არდაზიანმა, თავ. აფაქიძემ, ნ. შიუკაშვილმა, გ. ქიქოძემ, თ. რ. წერეთელმა, აზ. ჩარკვიანმა და ა. ზედგინიძემ.

ა. ყიფშიძე

სასოფლო მეურნეობა.

ფრინველების ავადმყოფობა.

10. ქათმის თვალის ტკივილი.

სურდოსა, დიფთერიტსა და ზოგ სხვა ავადმყოფობასთან ერთად ქათამმა და სხვა ფრინველებმაც იცის თვალის ტკივილი.

ნიშნები: თვალები შიგნით უწითლდება, უპეები უსივდება; თუ ავადმყოფობა გაძლიერდა, თვალებიდგან სითხე გამოსდის, რომელიც ჰაერში სქელდება და თვალებს უხუჭავს ავადმყოფს, ან მთლად აბრმავებს.

წამლობა: პირველი წამალი—ნახევარი ჩაის კოვზი ტყვიის შაქარი(свинцовый сахаръ) გახსენით ერთ ჭიქა გადადუღებულ წყალში და ამ წყლით კარგათ გამოუბანეთ თვალები ავადმყოფს დღეში ორ-სამჯერ.

მეორე წამალი—თუ პირველმა წამალმა ვერ არ-

უმცროსს უკვდება გულია;
ფეტვი—ნაწილი იმისა
გაგლილი, დაკარგულია,
სდგას, თავ-დახრილი, დასცქერის
გულ-ხელებ დაკრეფილია.
მაინც ღმერთს მადლობას სწირავს
მართალი, მართლის შვილია.
უკვირს თუმც: ასე შუადამ
როგორ გამოსჭრა სატყვამა.—
ასეთს უბედურს ვარსკვლავზე
რად გააჩინა დედამა.
სთქვა ბოლოს: „იქნებ უფალსა,
„შევცოდე, მიჯიდეს იმაზე.
„ღმერთს რად ვემდური? რისათვის?
„ცუდი სიტყვა ვსთქვა რაღაზე?
მოსძულდა მეტად ეხლა-კი
აქ ყოფნა, ცქერა ცისადა,
ტანჯვის და სირცხვილის მეტი
მზად არა იყო მისადა.
და გადასწყვიტა, რომ თავი
მას ჩაებარა ღვთისადა.
ადგა, წავიდა იქიდან,
დასტოვა სახლი, ძმებია.
მიენდო ბედის-წერასა,
გადაიარა მთებია.

V

წავიდა მიდის თავ-დახრით
თავზე თხის ტყავის ქუდითა,
ჩამოგლეჯილის ჩოხითა
და ზურგზე ფხროკის გუდითა.
იმას არ ფიქრობს თუ სადმე
წავა ბილიკით მრუდითა.
მიდის, ყვავარჯენს მიიბჯენს,
მიაბაკუნებს მიწაზე.
სადა და როგორ იცხოვროს
ფიქრით მოცული იმაზე.
ფიქრობს, რომ იმას განგება
არ დაუკარგავს ამაგსა.
მისცემს არსების ლუკმასა,
მისცემს სამყოფო ალაგსა.
თქმულია, იცის კარგადა:
სიმართლე შვილით—შვილამდე,
უსამართლობის მანძილი
შუაღამიდამ-დილამდე.
მართალს ნუგეშად ესა აქვს
გულში შეუდრკელ ბურჯადა,
რომ ღმერთი კაი კაცობას
მას არ ჩაუვლევს ფუჭადა.
შემდეგისთვისაც მას ფიქრობს,
არ უღალატოს სიმართლეს;
ერიდოს მწიკვლსა ყოველსა,
დაუმეგობრდეს სინათლეს.
რაც უნდა ავი შაემთხვას,
თუნდა გააკრან ჯვარზედა,
არ უღალატოს სიმართლეს,
ერთგულად იდგეს მაზედა.
მიჰყვეს ბოლომდე კეთილსა,
იაროს კეთილს გზაზედა.—
სცადოს განგება ამისთვის
რა ბედს მოუვლენს თავზედა.
თუ ვისმე ჰნახავს საწყალსა,
მარტოკას მუშას ყანაში
მიეშველება იმავ წამს,
დაეხმარება ჯაფაში.
არც უნდა რამე აიღოს,
ეს წესადა აქვს,—ამაში.
თუ ვინმე დააძალადევს,
მისცემს ფასს თავის შრომისას,
მაშინვე გლახებს ურიგებს,
გაურბის ხაფანგს ცდომისას,
ერთხელა ნახა საბრალომ
მთაზე ძოვს ცხვრისა ფარაო;
მწყემსიც იქვე ჩანს, მის სახე
ჰპლარას დაეფარაო.
მას, ცხვრისა გადამკიდესა,
ბევრი არ გაეხარაო.
არ იქნა, სიბერის დროსაც
ფარას ვერ გაეყარაო.
ვერ იმეტებდა სამწყემსო
სხვის ხელში ჩაეყარაო.
დიდის წვა-დაგვით დაზდილი
სხვის იმედს დაემყარაო.
დღეს-კი ცხვარს ეუბნებოდა:
„რაც გიპატრონეთ კმარაო!“
რა ექნა ბეჩავს: წყალ-მანკი
მუხლებში ჩაეპარაო?!.
კაცი არ ჩნდება ისეთი,
რომ ცხვარი ჩაებარაო.
საბრალო თავისთვის მიდის,
წინ გზა მიუძღვის შარაო.
სალამი მისცა მემცხვარეს,
გასცდა და გაიარაო.
შორს არ გაევლო, რომ მწყემსმა
თავისთან დაიბარაო.
ამანაც არ დააყოვნა
სერი-სერ შაიარაო.
და რა მივიდა ახლოსა
კვლავ „გამარჯვებით“ მიჰმართა.
მაშინვე მამა-შვილური
ბჭობა გამართეს იმათა.
—სადაური ხარ? სად მიხვალ?—
მოხუცი ჰკითხავს დინჯადა.
თვალებსაც ატანს ძალასა
უცხო ყმის გასასინჯადა.
საბრალომ თვისი ამბავი
მოხუცს უამბო ტკბილადა.
ამბავი—როგორ ცხოვრობდნენ
ძმები ერთს დროსა მრავლადა
და დღეს-კი იმათ ოთახში
ვერაფერს ჰპოვებ ღივადა.
ისიც უამბო, თუ იმას
ფეტვი როგორ ჰხვდა წილადა
ბედმაო როგორ უმუხთლა,
დასტოვა ქია-მლილადა.
ბოლოს სთქვა:—რა ვქნა მამილო
დავალ მწყევარი ბედისა,
ვით კრავი დაობლებული,
მეძიებელი დედისა.
მამა-პაპისა სახლ-კარი
მექცა სამარედ, ციხედა,
ვერც გავძელ ცოცხლად იქ ყოფნა,
ვსთქვი: ვივლი კიდით-კიდედა.
წამოველ, ორი თვე არი
მოესდევ სამყაროს ღვთისასა,
ხან ჰალა-მინდვრად დავდივარ,
ხან გზას ავირჩევ მთისასა.
რას დახვალ? რას დაეთრევი?
არავინ მკითხავს იმასა.—
— სახელი შენი? მოხუცმა
უცნობსა ჰკითხა კვალადა.
— საბრალო, ჩემო ბატონო,
მანაც მიუგო ბრალადა.
— ძალიან კარგი, უფალმა
ნუ მოგიშალოს სახელი.
თუმცა ვერ გიცნობ, შენთანა
ერთი რამა მაქვს სათქმელი.—
ბნელაში კარგი რამ არი
გზის მძებნელისთვის სანთელი!
— ბძანე! მოხუცთა სიტყვისა
გულ-დასმითა ვარ მსმენელი.
მუდამ მიცნია მათ რჩევა
სიბრძნისა გამომჩენელი.
— მაშ გეტყვი, თითონ განსაჯე:
შვილო განგება დიდია;
ყველასი ავი და კარგი
იმის ნებაზე ჰკიდია:
ზოგს კლდედ ექცევა საჩეხად,
სხვისათვის გზა და ხიდია.
სჩანს, ღმერთს არ გაუწირიხარ,
რომ მოაღწიე ჩემამდე
და თუ ეცდები, სარჩოთი
ვფიქრობ აივსო ყელამდე.
მე ერთი ღერი კაცი ვარ,
უშვილო, ცოლის ამარა;
ჩემი ყოფნა და სიცოცხლე,
შავმა ნისლებმა დაჰფარა.
ცხვარი მყავს, მაგრამ მწყემსობა
მე შამიძლიან აღარა.
თუ ცხვარს მოუვლი, იცხოვრებ,
ჩვენც არ დაგვაკლებ ლუკმასა,
გულით კაეშანს გადიყრი
აღარ დაიწყებ სულთქმასა.
კარგა ხანს უსმენს საბრალო
და როდი იღებს ჯერ ხმასა.
იფიქრა დიდხანს და ბოლოს
მანაც ამოთქვა:—კარგია,
მაინც განგებას მივენდე,
ვარგობს, თუ არა ვარგია.
მამყოფებს და თუ დამკარგა
ვიქნები დასაკარგია!
მხოლოდ ეს იყოს პირობა:
ოთხს წელს გექნები მწყემსადა,
თავნს მე არ შეგეცილები
სრულად მიიღე, ერთადა.
ნაშენს გავიყოფთ შუაზე,
რაკი გამივა ყავლია—
ისიც მაშინა, თუ მგლისგან,
ცხვრის ფარას არა აკლია.
ჰო, თუ ამ ოთხს წელს მე მგელმა
ცხვარი გამტაცა ერთია
სრულ ცარიელი წავიდე
თავდები გყვანდეს ღმერთია.
— კაცო, ეგ როგორ იქნება!
მგელიც ღმერთსა სთხოვს საზრდოსა.
მგელი ვერ გაგვაღარიბებს,
თუ სხვაფრივ ვუვლით სარჩოსა.
— არა, მე ვამბობ, ეგ არი
ჩემი პირობა სრულია
და ვერც გადავალ ნათქვამსა
თუ პირში მიდგა სულია.
მოხუცს რა ეთქმის? დასთანხმდა,
თუმც გაუკვირდა ფიცია.
სთქვა:—ათასს სულს ცხვარს გაბარებ,
დღეიდან არა ვიცია
ცხვრისა, შენ იცი და ღმერთმა,
აჰა, ეს საცხვრე ჯოხია.
თან მისცა გუდა-ნაბადი
ქონ-დუმით განაპოხია.
— იქნება ხვალევე ვკვდები
ცხვარიც შენ, ჩემი ბინაცა;
წყეული იყოს ღვთისაგან,
შაგეცილება ვინაცა!

ვაჟა-ფშაველა.

(შემდეგი იქნება)

გთ და ორ-სამ დღის შემდეგ თვალები უკეთ არ შეექნეს, ადეთ სამი ჩაის კოვზი დაფხვნილი ნიგვზის ფოთოლი და მოხარშეთ წყალში (რამდენიც ჩიქა წყალი იქნება, იმდენი სამი კოვზი ფოთოლი უნდა); გასწურეთ ნახარში და იმით გამობანეთ თვალები.

გარეთ უბეებს უსვით ვაზელინი. თუ უბეები დაუჩირქდა, დღეში ორ-სამჯერ თუთიის სანცხებელი (ცინკის მაზი) წაუსვით. თუ თვალის ტკივილი დიფთერიტთან არის შეერთებული, მაშინ იხმარეთ ზემოხსენებული წამალი (იხილე დიფთერიტი).

11. ფაღარათი.

ნიშნები: განავალი თხელი და მყრალია, ავადმყოფი ხშირათ წყალს სვამს, მადა ეკარგება, ჩიჩაყვი სითხით ევსება და ხანდახან პირიდგან გადმოსდის.

მიზეზი: წიწილებს ფაღარათი აუტყდება გაციებისაგან. ქათამს აუვარდება, თუ ბევრი ხორცი ჭამა, ან დამპალი, დამჟავებული და სხვა ცუდის თვისების საჭმელი აჭამეს.

წამლობა: სითბო უსათუოდ საჭიროა. ავადმყოფს დაალევინეთ ნახევარი ჩაის კოვზი საფაღარათო ზეთი. სასმელ წყალში გაურიეთ შაბიამანი (мѣдный купоросъ) ამ ნაირად: ნახევარი ჩაის კოვზი შაბიამანის ფხვნილი გახსენით ერთ ჩიქა წყალში. აქედგან ამოიღეთ ორი ჩაის კოვზი და დაახლოვებით ოთხ-ხუთ ჩიქა წყალში გაურიეთ და დაუდგით სასმელად.

თუ ეს საშუალება არ მოხერხდა, ავადმყოფს აჭამეთ შემწვარი შვრია, ან მოხარშული ბრინჯი, რომელსაც უნდა მოაყაროთ ცოტა მაგნეზიის ფხვნილი.

12. ყაბზობა.

ნიშნები: ქათამს ხშირად ანდომებს, მაგრამ ვერ გადის; ჩიჩაყვი საჭმელით სავსე აქვს; მუცელში სიმაგრე ეტყობა. ქათამი მოწყენილია და ფრთები ჩამოყრილი აქვს.

წამლობა: დაალევინეთ საფაღარათო ზეთი, ერთი ჩაის კოვზი. თუ არ ასქმა—უნდა ზეთის ოყნა. აჭამეთ რბილი საჭმელი. ნედლი ბალახეულობა ძალიან უხდება.

13. ქათმის ტილი.

ტილი პატარაა. როცა გამოძღება სისხლით, მოწითანო ფერს გადიკრავს. ტილები დღისით იმალებიან საქათმეში, ქანდარებზედ და კედლებში, ღამე-კი ესევა ქათმებს და უწოვს სისხლს. ზოგი ტილი დილით ადრე ვერ ასწრებს გაპარვას და რჩება ქათმის ბუნდლში.

წამლობა: საქათმეში ქანდარები კარგად დაათვალიერეთ, ნუ დასტოვებთ უნახავად კედლებსაც და სადაც ტილები ნახოთ, ის ადგილი კირის წყლით გარეცხეთ. ქანდარას რომ ქვეიდამ ხელი დაადოთ, მშიერი ტილები ხელზე დაგესევათ. კირის წყალი უტყუარი წამალია ამ ტილებისა და ამიტომ თვეში ერთხელ მაინც მისი მოსხმა ყველგან საქათმეში და ქანდარების გარეცხა საჭიროა. კედლების კირით შეგლესვა უკეთესია.

ამ ნაირადვე მოქმედებს გოგირდის დრნოლაც: ადეთ გოგირდი და მისის ზომის ერთი მეათედი გვარჯილა; შიგ გაურიეთ და დაწვით საქათმეში. თუ გვარჯილა არ არის, მარტო გოგირდის დრნოლაც შეიძლება. რაც უფრო დიდხანს იდგება გოგირდი, კვამლი საქათმეში, მით უკეთესია. რასაკვირველია, ქათმები კვამლში არ უნდა რჩებოდნენ. ამის გარდა, საქათმეში უნდა იყოს დაყრილი ხმელი მიწა, რომელშიაც ქათამს «ბანაობის» დროს ტილები ტანიდგან ჰშორდება.

14. ბუნდლის ტილი.

ეს ტილი შეეტყობა ბუნდლში, რომელიც ფუშდება და სცვივა ქათამს. საუკეთესო წამალია რწყილის წამალი (პერსიდსკი პოროშოკ), რომელიც უნდა მოაყაროთ იღლიებში, კისერზე, ქოჩორში და საზოგადოდ ტანზედ, ბუნდლის ძირში. კარგია აგრეთვე ქაფურის ფხვნილი.

15. ცხვირის ჭიები.

ქათამს ცხვირშიაც უჩნდება ჭიები.

ნიშნები: ქათამს ხშირათ აცხიკვებს, სითხე გამოსდის ცხვირიდგან და კიდევაც უსივდება, თუ ბევრი ჭიები ჰყავს.

წამლობა: წვრილად და გრძლად დასჭერით ნიორი (ძირი) და ხშირათ ჩაუდევით ცხვირში. ნიორის სუნი საწამლავია ჭიისათვის, რომლებიც ჩქარა შორდება ცხვირს.

ინდაურის ავადმყოფობა.

16 ყვავილი (გადამდებია).

ნიშნები: თავზე, კისერზე, იღლიებში და საზოგადოდ ტანზე უჩნდება ყვავილის მზგავსი მუწუკები. ავადმყოფს სიცხე აძლევს და მადა ეკარგება. მოწყენილია.

წამლობა: 1) ინდაურის საჭმელში უნდა გაურიოთ ცოტა ნიორი და პილპილი.

2) ნახევარი ჩაის კოვზი აკვასპი (желѣзный купоросъ) გახსენით ერთ ჩიქა წყალში და თითო ჩაის კოვზი ასვით დილა-საღამოს.

3) მუწუკები დასწვით თუხაპით (ლაპის).

4) კვირაში ორ-სამჯერ თითო ჩაის კოვზი წითელი ღვინო, ბ-ნ ეღაგინის გამოცდილებით, ძალიან უხდება სენს.

17. ფაღარათი.

ნიშნები: ინდაურს მადა ეკარგება და თან და თან სუსტდება, განავალი თხელია.

მიზეზი: სიგრილე და ბევრი ბალახის ჭამა.

წამლობა: ერთს ჩიქა წითელ ღვინოში მოხარშეთ ერთი კოვზი გვირილა, გასწურეთ და თითო ჩაის კოვზი დაალევინეთ დღეში სამჯერ. თუ უკან განავალი მიმხმარი აქვს, თბილი წყლით უნდა მოჰბანოთ.

ბატის ავადმყოფობა.

18. თავბრუ.

მიზეზი: ამის მიზეზია ცხვირში ჭიების გაჩენა.

წამლობა: ცხვირი გამოუბანეთ შაბის წყლით (მეოთხედი ჩაის კოვზი შაბი ერთ ჩიქა წყალში).

19. ფაღარათი.

ფაღარათი ძალიან ხშირათ ემართება ბატებს და ჭუჭულებს.

წამლობა: აჭამეთ მოხარშული მუხუდო. ორ დღეში ერთხელ აჭამეთ ღვინოში დამბალი პური, ან მჭადი. ძალიან უხდება მუხის კრკის ნახარშიც.

20. ყვავილი (გადამდებია).

მუწუკებს უსვით ხშირად გოგირდის მალამო.

იხვის ავადმყოფობა.

იხვი იშვიათად ხდება ავად. ჩვეულებრივი მისი სენია თავბრუ, რომელსაც ჩვენში ჩათვალვას აბრალებენ. მიზეზი ცხვირის ჭიებია და იგივე წამლობა უნდა, რაც ბატს.

შენიშვნა: თუ ბატებს და ინდაურებს ისეთი ავადმყოფობა გამოაჩნდა, რაც ქათმებს აქვს, იგივე წამალი უნდა იხმარონ, რაც ქათმებისათვის საჭიროა.

ნ. მკურნალი.

(შემდეგი იქნება)

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

24 აპრილი.

ხარკოვი. პროვოდის იარმუკაზედ ავსტრიის აგენტებმა ბევრი სამუშაო ცხენი იყიდეს კარგ ფასად.

ვარშავა. მალოროსიის დრაგუნთა პოლკის დეპუტაცია მიდის ბერლინში მისალოცავად პრუსიის პრინცის ალბრეხტისა, რომელსაც ორმოც-და-ათი წელიწადი შეუსრულდა მას აქეთ, რაც ამ პოლკში ირიცხება.

ნაღდის ფულის სიმრავლის გამო ვარშავის ვაჭრობაში ბანკებმა დააკლეს დისკონტი.

ეკატერინოსლავი. ნოვომოსკოვსკში სახელმწიფო ხარჯით არსდება საოსტატო სემინარია.

სარატოვი. დღეს გაიხსნა მარიინსკის სასწავლებელთან ქალებისათვის სასოფლო-სამეურნეო კურსები, რომელზედაც სწავლა გაგრძელდება სექტემბრამდე.

ყაზანი. გაიხსნა საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების განყოფილება.

სან-დომინგო. პრეზიდენტი ჩამოგდებულ იქმნა ამბოხების გამო.

ლონდონი. ცნობილი მწერალი ბრეტ გარტი გარდაიცვალა.

პარიჟი. რკინის გზის მატარებელი, რომლითაც მიდიოდნენ ბელგიიდგან მლოცავნი ლურდში სალოცავად, ამიენსა და კომპიენს შუა გადავარდა რელსებიდგან; მოკლულია სამი კაცი, დაშავებულია მძიმედ თექვსმეტი და მსუბუქად—ორმოცი.

პრეტორია. იმედი მშვიდობიანობის ჩამოგდებაზედ მატულობს. ბურების დელეგატები სცდილობენ დაიყოლიონ ჯარის უფროსები, რათა დანებდნენ ინგლისელებს. შეურიგებელნი უფრო დელარეის ჯარში არიან.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფს“ ატყობინებენ იოჰანესბურგიდგან, რომ გამოქცეულ ბურების ბანაკებში მშვიდობიანობის ჩამოგდება უზრუნველ-ყოფილია.

სასახლე ლოო. ოფიციალური ბიულეტენი: „წუხელ ცოტად სიცხე მისცა დედოფალს. ღამე მშვიდად გაატარა, დღეს სიცხე აღარა ჰქონდა. საზოგადოდ კარგად არის.

ბუდაპეშტი. ავსტრიის დელეგაციის პრეზიდენტის სიტყვის საპასუხოდ იმპერატორმა შემდეგი სთქვა: „დიდად მასიამოვნა თქვენ მიერ გამოთქმულმა უქვეშევრდომილესმა გრძნობებმა. წლის განმავლობაში პოლიტიკურ მდგომარეობას თვალ-საჩინო ცვლილება არ დასტყობია. მთავრობა დაუცხრომლად სცდილობს მოკავშირეებთან მჭიდრო კავშირის დაცვას. იგი ნდობით ეკიდება ყველა სახელმწიფოს, რაიცა ხელს უწყობს ევროპაში მშვიდობიანობის განმტკიცებას. რაც შეეხება კერძოდ რუსეთის იმპერიას, იმასთან სამეგობრო თანხმობა მახლობელ აღმოსავლეთის საქმეებში ხელს უწყობს მშვიდობიანობისა და წეს-რიგის დაცვას. ამბოხების ჩაქრობამ ჩინეთში შესაძლოდ ჰქმნა ჯარის დაბრუნება. სამხედრო გამგეობა საჭიროდა სცნობს მოითხოვოს ხარჯთ-აღრიცხვის გადიდება საარტილერიო მასალის დასამზადებლად და არტილერიის რეორგანიზაციისათვის. ბოსნიასა და გერცოგოვინაში ეკონომიურ პირობათა განვითარების საქმე წინ მიდის. ხარჯი, ამ ოლქების მართვა-გამგეობისათვის საჭირო, ადგილობრივ შემოსავლებიდგან იქნება დაფარული. ვისურვებ თქვენ მუშაობის წარმატებას“.

პეტერბურგი. საკომერციო სასამართლომ დღეს ალექსანდროვის ფოლადის ქარხნის საზოგადოება კოტრადა სცნო. დღესვე სასამართლომ დაადგინა დაიფასოს ქონება გაკოტრებულ ისტინის ქარხნების საზოგადოებისა. „კანონთა კრებულში“ გამოქვეყნებულია ბრძანება ბესარაბიისა, ვოლინისა, კიევისა, ეკატერინოსლავისა, პოდოლისა, პოლტავისა და ხერსონის გუბერნიებიდგან ცხენების გაყვანის დროებით აკრძალვის შესახებ.

25 აპრილი.

პეტერბურგი. სამინისტროს მოხელეთა მიღების დროს საერო განათლების მინისტრმა ზენგერმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. აღნიშნა-რა მუშაობის მსვლელობა წინამოადგილეთა დროს, მინისტრმა შენიშნა, რომ ყველა პროექტი საშუალო სკოლის რეფორმის შესახებ გადაეცემა განსახილველად სამეცნიერო კომიტეტს და საერო განათლების მინისტრის საბჭოსაო. ამათვე გადაეცემათ აგრეთვე განსახილველად საშუალო სასწავლებელთა საპედაგოგიო საბჭოებისა და სამზრუნველო საბჭოების მოხსენებანი იმის შესახებ, თუ რა ნაყოფი მოიტანა მიმდინარე წლის ცდამ. საჭიროდ შეიქმნა განგრძობა მომავალ წელს 1901 წლის 11 ივნისის უმაღლესს ბრძანების მოქმედებისა; იმის დროებით მოწყობა უნდა განხორციელდეს იმის და მიუხედავად, თუ რა საბოლოო შედეგი მოჰყვება საშუალო სკოლის რეფორმას. უმაღლესის ბრძანების თანახმად, შესდგება კომისია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს თვითეულ ოლქიდგან ორი დირექტორი—ერთი გიმნაზიისა და ერთიც რეალურ სასწავლებლისა. კომისიამ უნდა განიხილოს უფრო შესაფერისი ღონის-ძიებანი ამ საგნის შესახებ. კომისიის გადაწყვეტილებანიც გადაეცემა აგრეთვე განსახილველად სამეცნიერო კომიტეტსა და მინისტრის საბჭოს, იმ ანგარიშით, რომ ეს გადაწყვეტილებანი მომავალ სამოსწავლო წლიდგან განხორციელებულ იქმნან. გადაწყვეტილებანი უმაღლესადაც იქმნება წარდგენილი განსახილველად. დასასრულ მინისტრმა იმედი გამოსთქვა, რომ მიუდგომლად განიხილავენ საყურადღებო საგნებს და სხვათა აზრს პატივით მოეკიდებიან. აღნიშნა-რა სამინისტროს მზრუნველობა უმაღლესს სამრეწველო და პირველ დაწყებით განათლების საქმეში და საჭიროდ სცნო-რა ამ მხრივ მუშაობა, ზენგერმა ამ სიტყვებით დაამთავრა: „დაგვიფაროს უფალმა ზვიადობისა და ცალ-მხრივობისაგან და ხელი მოგვიწყოს, რომ არ ვაამოთ მყვირალა წრეს-გადასულობას და თავ-ქარიანობას. ჩვენი საქმეა—გამოვსთქვათ მშვიდობიანად და უშიშრად ღრმად მოფიქრებული რწმენანი. მაღალი ღმერთია სათავე ყოველის გულის-ხმის ყოფისა და მოსამართლე ჩვენის სინიდისისა. ხელი მოგვიმართოს მან მისაღწევად ჩვენის მიზნისა, რომელსაც გვიჩვენებს ჩვენი ერთნაირი სიყვარული განათლებისა, სამშობლოსა და ხელმწიფის მიმართ“.

უმაღლესად ჯარის დათვალიერება გადაიდო 26 აპრილისათვის.

ლონდონი. კიტჩნერი იუწყება, რომ ოსკიენის ალყის შემორტყმა გათავდა. მტერმა უკან დაიწია და ქალაქი ხელ-ახლა დავიჭირეთო.

ათინა. ყველა ბურგომისტრებმა სურვილი განაცხადეს კუნძულის (?) საბერძნეთთან შეერთებისა.

ბუდაპეშტი. უნგრელთა დელეგაციის პრეზიდენტმა იმპერატორს მიჰმართა და გამოსთქვა, რომ მომხრენი ვართ სამთა კავშირისაო და აღნიშნა კეთილი განწყობილება სხვა სახელმწიფოებთან. განსაკუთრებით მეგობრულად მიეგება იგი იმას, რომ სახელმწიფო რუსეთთან შეთანხმებული, იცავს ბალკანიის ხალხთა თავისუფალ განვითარებას იმ გვარ ძალდატანებისაგან, რომელიც ერთის მხრიდგან მიმდინარეობს ხოლმე.

ბაქო. შაჰი სალიანში მოვიდა.

პეტერბურგის ბირჟა, 24 აპრილი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,20
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,40
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96¾ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ
4% გირავნ. ფურც. სახელ. სააღგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	473½ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	363¼ გაყ.
% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სააღგ.-მამ. ბანკისა.	301 გაყიდ.
4½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. სააღგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. სააღგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	4850 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	178½ „
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი:

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს.43 წ. დღ.	11 ს.49 წ.დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს.37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს.2 წ. დილ.	7 ს. 43 წ.დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ.დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ.დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	6 ს. 57 წ.დილ.	6 ს. 22 წ.დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ 27 ამა აპრილს გამგეობის თანდასწრებით, შუადღის 12 საათზედ, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიცემა იჯარა ქალაქის გასანათებლად საჭირო ნავთისა. სულ საჭიროა 20,000 ფუთი ნავთი.

პირობათა გასინჯვა შეიძლება გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, დილის 9-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(3—6.—2).

წერაკითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საუმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილმა	„ 30
საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60
სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ. „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა.	„ 30
ყოველის მხრიდგან. არბოთლისა.	„ 10
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„ 50
ამოდის ნათდება, ვაჟა-ფშაველასი	,, 15
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძის	,, 15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	,, 5
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	,, 30
აბო ტფილელი, ე. გ.	,, 30
Або Тифлисскій, Е. К.	,, 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	,, 60
გიორგი და მიხეილი	,, 10
Древній Анчисхатскій соборъ.	
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანის	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძის	,, 30
ჩანგი, გ. აბაშიძის	1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძის.	
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 50
ცისარტყელა, ავ. ცაგარელის	,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილის	1 ,,
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	,, 50
Карбеловъ	,, 20
დედა, ანდერსენისა	,, 8
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 ,, მ.
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	,, 20
Двѣ святыны въ Кахетіи, Е. К.	,, 10
Давидъ Гареджели, Е. К.	,, 15
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა	,, 15
ელენე, მოთხრობა	,, 5
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	,, 40
Назрѣвшій вопросъ, Е. К.	,, 20
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა	,, 5
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ	,, 3
ამბავი მაღლის ქვის	,, 5
აკიდო საუმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	,, 15
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. ,, 50
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	,, 40
ბენია	,, 10
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელის	,, 15
ბაში-აჩუკი, აკაკის	,, 30
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილის	1 მ. ,, 30
გლეხ-კაცის ისტორია, III--IV ტ.	1 მ. ,, 20
აღმზრდელი, აკაკის	,, 5
გასართობი	,, 10
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—ს	,, 15
გუსტავ ვაზა	,, 5
პატარა ლორდის თავგადასავალი	,, 30
პატრა ვეფხვის ტყაოსანი	,, 25
რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა	,, 40
სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონის და გრ. ყიფშიძის	1 ,,
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანის.	,, 60
აერო დღესასწაული	,, 25
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р. ,,
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ღის.	3 ,,
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К	,, 30
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.
თეორია სიტყვიერების, კელენჯერიძის	,, 40
თამარ-დედოფლის სამკაული	,, 10
თამარ ლაზნელი, ან. ფურცელაძის	,, 50
ისტორია ქართულ სტამბების	,, 15
იანიჩარიდ., სახუცრიშვილის.	,, 40
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II არ. ქუთათელაძისა	,, 60
სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი	1 ,,
სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ—სა	,, 30
საუმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილისა.	,, 50
სუმბული, ს. ქვარიანისა.	,, 20
ტარტუფი, თარგ. ივ. მაჭავარიანისა	,, 50
უკვდავთა ლაღლადებანი, მ. ჯანაშვილისა	,, 15
ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა	,, 50
ქრისტინე, ე. ნინოშვილისა	,, 20
ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა	,, 40
ქეთო და სონა, საუმაწვილო მოთხრობა	,, 5
ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ისა	,, 25
კოპერნიკიდან დარვინამდე	,, 10

მანქანები

ხის-სახერხი: ჩარჩო მანქანისა, მუდმივი და გადასატანი და **თვლებზედ დამდგარი**.

ყოველ-გვარი სახერხი: სადურგლო, საპარკეტო, საბოჭკე და სხვა ამ გვარ ქარხნებთათვის.

ყოველ-გვარი სახერხი: ლითონისა, მავთულისა და თუნუქის ნივთის საკეთებლად, სპიჩკისა, აგურისა, ლურსმნისა და სხვა ამ გვარებისათვის.

ახალი ამბავი! ორთქლის მოტორი (გახურება შეიძლება ყოველ-გვარ ნავთით); **ლოკომობილები**. პირველ ხარისხოვან ქარხნებიდგან დაბარება ყოველ-გვარ სხვა მანქანისა

პავლე ბრუმი

МОСКВА. Трехсвятительскій переулокъ (у красныхъ воротъ), д. Строительнаго общества, № 3.

ადრესი წერილებისათვის: Павлу Брумъ, Москва; ტელეგრამებისათვის: Брумъ—Москва

(3—6.—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ 25 апр. 1902 г. Типографія А. М. Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. груз Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.